პროფესიონალი

PROFESIONALI

№64

ფასი 2 ლარი

ეკოლოგიურად სუფთა პარკეტის ლაქი კაპაროლისგან

- ეკოლოგიურად სუფთა - წყლის ბაზაზე
- სწრაფადშრობადი
- მაღალი ელასტიურობის მქონე
- ცვეთამედეგი
- საწმენდი საშუალებებისადმი მედეგი
- შესაძლებელია სათამაშოების დაფარვა

- DIN EN 71-3

wasserverdünnbar

Nach Trocknung des Anstrichs gemäß DIN EN 71-3 für **KINDER-SPIELZEUGE** geeignet

პროფესიონალი+

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო ჯოლეგია

მისამართი:
თბილისი, ჰ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

25.11.2013-25.12.2013

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცებამდე პარლამენტის თავმჯდომარე დარბაზში მყოფ შვედეთის პარლამენტის საფინანსო კომიტეტის წევრებს მიესალმა, რომლებიც საქართველოში საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის მოწვევით იმყოფებიან და აღნიშნა, რომ მომავალ კვირას დაგეგმილი ქართული მხარის საპასუხო ვიზიტი შვედეთში იქნება ორი ქვეყნის პარლამენტს შორის გაფორმებული პარტნიორული ნაბიჯი. პარლამენტის წევრები საკანონმდებლო საქმიანობას შეუდგნენ და პირველი მოსმენით მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და მისი თანმდევი ოცზე მეტი კანონპროექტი განიხილეს. საკანონმდებლო ინიციატივა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, თენგიზ შერგელაშვილმა წარმოადგინა და რეფორმის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა. კოდექსის თანახმად, არჩევით საკრებულოსთან ერთად, მუნიციპალიტეტს ეყოლება არჩევითი გამგებელი, თვითმმართველ ქალაქს კი მერი. გამგებლის (მერის) მოსახლეობისა და საკრებულოს წინაშე ანგარიშგებისა და პასუხისმგებლობის მექანიზმის სახით წარმოდგენილია გამგებლის უფლებამოსილების პროცედურა. პროექტში

გაწერილია ასევე არჩევითი გამგებელისთვის (თვითმმართველ ქალაქში კი მერისთვის) უნდობლობის გამოცხადების მექანიზმი. კოდექსით განსაზღვრულია ადგილობრივი თვითმმართველობის ტერიტორიული ოპტიმიზაციის განხორციელების სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდა. კერძოდ, თვითმმართველი ქალაქების გამოყოფა (რომელსაც პროექტით, 15-ათასიანი მოსახლის რეგისტრაცია განსაზღვრავს), თავდაპირველად იმ ქალაქებიდან დაიწყება, სადაც გუბერნატორები სხედან ანუ გუბერნიების ცენტრებიდან. ასეთია შვიდი ქალაქი, რომელიც სადღეისოდ არსებულ ხუთ თვითმმართველ ქალაქს დაემატება და ჯამში, რეფორმის პირველ ეტაპზე, 12 თვითმმართველი ქალაქი იქნება. რეფორმის განხორციელებისათვის ასევე მნიშვნელოვანია და პროექტში ასახულია ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური უზრუნველყოფის და ფინანსური ავტონომიის გამყარების პრინციპები. ამჟამად არსებული კანონი ფინანსური რესურსის თავმოყრას ცენტრალური ხელისუფლების ხელში და თვითმმართველობებზე მის შემდგომ გადანაწილებას გულისხმობს. ცვლილება ამ კუთხით მნიშვნელოვნად გაზრდის თვითმმართველობების ფინანსური დამოუკიდებლობის ხარისხს და შესაბამისად მოხდება კაპიტალური ტრანსფერის გამოყოფა და გაიზრდება გამოთანაბრებითი ტრანსფერების მოცულობა. როგორც მომხსენებელმა პროექტის წარდგენისას აღნიშნა, წარმოდგენილი ორგანული კანონის პროექტით, რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ორგანიზებასთან, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებთან და მის ორგანოებთან, დედაქალაქის სტატუსთან და მის უფლებამოსილებებთან დაკავშირებული საკითხები.

პროექტი ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, სახელმწიფოზე დამხედველობასთან, აუდიტთან და პირდაპირ სახელმწიფო მმართველობასთან და მუნიციპალიტეტთა რეგიონულ გაერთიანებასთან დაკავშირებულ საკითხებს. თენგიზ შერგელაშვილის განმარტებით, მიღებულია გადაწყვეტილება, რომ რეგიონული კოლეგიური ორგანოების ნაცვლად საკონსულტაციო ფუნქციების საბჭოები შეიქმნება, რომლის შემადგენლობაში პოლიტიკური წარმომადგენლობის ნაცვლად არჩეული მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები იქნებიან.

საკონსულტაციო საბჭოების წევრები მონაწილეობას მიიღებენ კონსულტაციებში, განხილვებში, მუნიციპალიტეტთაშორისი საკითხებისა და პროექტების განხილვაში. მათ არ ექნებათ ის უფლებამოსილებები, რაც კანონპროექტის პირველ ვარიანტში იყო წარმოდგენილი, საკონსულტაციო საბჭოს წმინდა საკონსულტაციო ფუნქცია ექნება.

პროექტის შესახებ საკუთარი მოსაზრებები და შენიშვნები კომიტეტების და ფრაქციების ხელმძღვანელებმა და რიგითმა დეპუტატებმა წარმოადგინეს. გია ჟორჟოლიანის აზრით: “ეს არის ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც ეხება თითოეულ მოქალაქეს, ქვეყნის მართვის წესს და განაპირობებს რეალური დემოკრატიის დამკვიდრებას ჩვენს ქვეყანაში. “მან კომიტეტის სახელით წარმოადგინა წინადადება, რომელიც საკომიტეტო მოსმენების დროს შეიმუშავეს მთავრობასთან შეთანხმებით, იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი თვითმმართველობის თემა, რომელიც სოფლებში და ქალაქებში საზოგადოებრივი და საუბნო საბჭოების შექმნას ითვალისწინებდა, ამ ეტაპზე ვერ პასუხობს იმ საჭიროებას, რაც მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობისთვისაა აუცილებელი. შესაბამისად მომზადდება ცალკე კანონი, რომელიც პარლამენტს 2015 წლის პირველ იანვრამდე წარედგინება. თვითმმართველობის რეფორმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობაა, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის წევრმა, დავით ბერძენიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილი უშუალოდ ხელმძღვანელობდა წარმოდგენილი პროექტის ჩამოყალიბებას.

"მინდა მადლობა გადავუხადო კოლეგებს ამ თვეების განმავლობაში უზარმაზარ კოდექსზე კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. თვითმმართველობის კოდექსი არის ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური მემკვიდრეობა. ის უშუალოდ იყო ჩართული და ხელმძღვანელობდა ჯერ კიდევ საარჩევნო პროგრამის მომზადების პროცესში ამ თემებზე ჩვენი პოზიციის ჩამოყალიბებას, შემდეგ პრემიერ-მინისტრობის დროს ასევე უშუალოდ ხელმძღვანელობდა და მისი ხელმოწერით არის მთავრობიდან შემოტანილი პარლამენტში", - განაცხადა ბერძენიშვილმა. განხილვის დასრულების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დეპუტატებს მიმართა. მან ილია ჭავჭავაძის სიტყვები წაიკითხა და განაცხადა, რომ თვითმმართველობაზე ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძის დროს საუბრობდნენ. „თვითმმართველობამ რომ თავისი ჩვეული ნაყოფი მოიტანოს და თავის თავს არ უმტყუნოს, მისდა შესაფერად უნდა იყოს მოწყობილი და დარგული. ამ მოწყობაში არც ერთი მისი არსებითი კუთვნილება დავიწყებული არ უნდა იქმნას, არც ერთი ძირეული აზრი არ უნდა დაირღვეს. თუ ეს სიფრთხილე არ იხმარა ადამიანმა, თვითმმართველობა უფრო უქმი სიტყვა იქნება, უფრო სახელი იქნება,

ვიდრე სახრავი". და აღნიშნა, რომ ამ სიტყვებში ყველაფერია ნათქვამი.

"ყველამ, ვინც უამრავი დრო და ენერგია დავხარჯეთ ამ კოდექსის მომზადებაში, განხილვაში, დებატებში, მინდა ამ წუთებით ვიამაყოთ. თუმცა ყველამ უნდა ვაღიაროთ ერთი შეცდომა, ავტორებმაც, ხელისუფლებამ ზოგადად, მთავრობამ, კოალიციამ, პარლამენტმა, ჩვენ გვქონდა გარკვეული პრობლემა კომუნიკაციაში. მეტი დრო უნდა დავუთმოთ, როგორც ერთმანეთთან საუბარს, ისე საზოგადოებასთან მეტი ურთიერთობაა საჭირო. ამიტომ მოდით, ახლა მაინც გავითვალისწინოთ, პირველი მოსმენიდან შემდგომ, მის ბოლომდე მიღებამდე საკმარისი დროა, საკმარისად შეგვიძლია ვიმსჯელოთ. შემდგომში მეტი დრო დავხარჯოთ კომუნიკაციაში და ყველაფერი დანარჩენი კარგად იქნება", - განაცხადა უსუფაშვილმა.

"სუსტებს ეშინიათ მხოლოდ ძლიერი პარლამენტის და ძლიერი მთავრობის. თვითმმართველობა ეს არის ძალა ხალხისა, ვისაც ხალხის ძალის ეშინოდა, ის გვერდს უვლიდა ამ თემას", - დასძინა მან. პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტი პირველი მოსმენით მიიღო. პროექტს 82-მა დეპუტატმა არც ერთის წინააღმდეგ დაუჭირა მხარი. განხილვასა და კენჭისყრას საპარლამენტო უმცირესობა გამოცხადებული ბოიკოტის გამო არ ესწრებოდა.

კანონმდებლებმა დღეს III მოსმენით „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტი განიხილეს. კანონპროექტი სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლებას და მის გადავადების საკითხებს შეეხებოდა, პროექტი ითვალისწინებს უმაღლესი სამედიცინო განათლების დიპლომის შემდგომი საფეხურის რეზიდენტის ან/და რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომის შემდგომი განათლების საფეხურზე მყოფი პირის, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადავადებას სარეზიდენტო პროგრამის დამთავრებამდე.

დეპუტატებმა II მოსმენით, მუხლობრივად „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" კანონპროექტზე იმსჯელეს და „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" და მისგან გამომდინარე კანონპროექტებსაც გაეცნენ, რომლებიც განსახილველად შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ლევან იზორიამ წარმოადგინა. ცვლილებების თანახმად, ახლებურად რეგულირდება მიგრაციის სფერო და უცხო ქვეყნის მოქალაქეების საქართველოში შემოსვლის ვადები, იცვლება საქართველოს მიერ გაცემული ვიზების კატეგორიები და ასევე დგინდება ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც უფლებამოსილია ვიზების გაცემაზე. ლევან იზორიას ინფორმაციით, წარმოდგენილი ცვლილებებით მკაცრდება კონტროლი საქართველოში უკანონოდ მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ კანონით მათი ქვეყნიდან გაძევების მექანიზმი შემოდის. სხდომაზე პარლამენტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებიც განიხილეს და 70-მდე კანონპროექტს უყარეს კენჭი.

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას ბრიფინგი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ ბრიფინგი გამართა და ბიუროს მიერ 2004-2012 წლებში საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შეფასების თაობაზე კომიტეტის დასკვნის მიღების შესახებ ისაუბრა. ეკა ბესელიამ ჟურნალისტებს სხვა დოკუმენტიც, კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლეების: მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძის, თამარ ლალიაშვილისა და მურმან ისაევის უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე უკანონოდ შეწყვეტის თაობაზე კომიტეტის დასკვნა გააცნო.

ეკა ბესელიას განცხადებით, პარლამენტში 20 ათასზე მეტიმოქალაქის პეტიცია შევიდა. პეტიციის თანახმად, უნდა მოხდეს 2004-2012 წლებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესწავლა, რის შემდეგაც პარლამენტმა შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება უნდა გააკეთოს. ეკა ბესელიას განმარტებით, კომიტეტი რამდენიმე თვის განმავლობაში სწავლობდა საერთაშორისო ოფიციალური სტრუქტურების ანგარიშებს კონკრეტულ დარღვევებთან დაკავშირებით.

„დადგინდა, რომ აღნიშნულ წლებში კონსტიტუციით განსაზღვრული, ადამიანის ძირითადი და ფუნდამენტური უფლებების დარღვევები სისტემური ხასიათის იყო, ადგილი ჰქონდა სიცოცხლის უფლების ხელყოფას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, ირღვეოდა ფიზიკური ხელშეუხებლობისა და თავისუფლების უფლება, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ქონების და კერძო საკუთრების უფლება", -განაცხადა ეკა ბესელიამ. კომიტეტის თავმჯდომარის განმარტებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთავარი პროკურატურა ამ დარღვევებით დაინტერესდება. აღნიშნულ უწყებებს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება უკვე გაეგზავნათ.

ბიუროების გამართული მუშაობა, პარლამენტისთვის პრიორიტეტია

ქვეყანაში პოლიტიკური ცვლილებების პარალელურად, მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროები ის ადგილები აღმოჩნდა, სადაც დახმარების მოლოდინით დაიმედებული მოქალაქეების რიგები არ წყდება. ამომრჩეველთა ასეთმა აქტივობამ ერთი შეხედვით ჩრდილში მოქცეული, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე პოლიტიკური ინსტიტუტი აშკარად გამოაცოცხლა. მაჟორიტარ დეპუტატს განსაკუთრებული ვალდებულება აკისრია საკუთარი, კონკრეტული ელექტორატის მიმართ. ამისათვის საჭიროა ბიურომ გამართულად იმუშაოს, იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და გამჭვირვალე, ვინაიდან მოსახლეობა მათთან ისეთი საკითხის გადასაწყვეტად მიდის, რომელსაც გამგებელი ან საკრებულო ვერ უგვარებს. იმის თაობაზე, კონკრეტულად რა დატვირთვა აქვს მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლობას და რა არის საჭირო საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის, შუახევის რაიონის დეპუტატის, ომარ მეგრელიძის ბიუროს ხელმძღვანელი, ბატონი **ნუგზარ ამაღლობელი** გვესაუბრა...

— ბატონო ნუგზარ, მოგვიყევით თქვენი საქმიანობის შესახებ...

— მოგეხსენებათ, ამჟამად, საქართველოს პარლამენტის წევრის, შუახევის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, ბატონი ომარ მეგრელიძის ბიუროს ხელმძღვანელი გახლავართ. ჩვენი სამსახურის ფუნქციებში შედის ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზება, პარლამენტის წევრის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უზრუნველყოფა და მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში დახმარება. ფაქტობრივად, ეს გახლავთ საუკეთესო გზა ამომრჩევლის ხმის პარლამენტში მოსახვედრად. ბიუროს ფუნქციონირებისათვის, პარლამენტის აპარატის მიერ, ყოველთვიურად გარკვეული თანხაა გამოყოფილი, რაც კომუნალურ, საკანცელარიო და სხვა მიმდინარე ხარჯებზეა გათვლილი.

— კონკრეტულად რა ფუნქცია აკისრია თქვენს სამსახურს?

— ჩვენს მოვალეობაში შედის მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაცია და შესაძლებლობების ფარგლებში მათთვის დახმარების გაწევა. ბიუროში დღემდე 100-ზე მეტი წერილობითი განცხადებაა შემოსული, რომელიც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვს. ბატონ ომარ მეგრელიძესთან ერთად რაიონის თითოეული სოფელი მოვიარეთ. მოსახლეობის ყოველ მოთხოვნას ვინიშნავთ, ვცდილობთ გამგებელთან და საკრებულოს თავმჯდომარესთან ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში ეს საკითხები განვიხილოთ და დადებითად გადავწყვიტოთ.

— ძირითადად რა აწუხებს მოსახლეობას

— ჩვენი ამომრჩევლის ძირითადი პრობლემები სოციალურ-ეკონომიკურ, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო სფეროებს შეეხება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ შუახევში კეთილმოწყობილი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საავადმყოფო ფუნქციონირებს, სადაზღვევო კომპანიებთან გაურკვეველმა დამოკიდებულებამ ექიმების არასაკმარისი ანაზღაურება და რაიონიდან მათი გადინება გამოიწვია.

— ასეთ შემთხვევაში კონკრეტულად რა ხერხს მიმართავთ საკითხის მოსაგვარებლად?

— ჩვენს მიერ დამუშავებული ინფორმაციის შედეგად, რაიონის დეპუტატმა პარლამენტის ტრიბუნიდან სწორედ მსგავსი საკითხები უნდა დააყენოს დღის წესრიგში და იმ პრობლემების ინიცირება მოახდინოს, რომელიც ბიურომ გამოკვეთა. ჩვენი სტრუქტურის გამართული მუშაობა პარლამენტისთვის პრიორიტეტია. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ მთავარ საკანონმდებლო ორგანოს უნდა მივაწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია მთიანი რეგიონების შესახებ. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და ტურისტული სფეროს განვითარება უმთავრესია იმ აქცენტებიდან, რომელიც ხელისუფლებამ დადებითად უნდა გადაჭრას, რათა არ მოხდეს მოსახლეობის მასობრივი გადინება და რეგიონებში ადამიანური რესურსი მაქსიმალურად შევინარჩუნოთ.



„ახალგაზრდა ადვოკატები" წარმოადგენს ახალგაზრდულ უფლებადაცვით არასამთავრობო ორგანიზაციას და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში.

„ახალგაზრდა ადვოკატები" ახორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან.

„ახალგაზრდა ადვოკატები", 2012 წლიდან ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში.

„ახალგაზრდა ადვოკატები", 2012 წლიდან მონაწილეობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით შექმნილ იურიდიული დახმარების სამსახურის რეფორმირებისთვის ჩამოყალიბებულ არასამთავრობო ორგანიზაციათა სამუშაო ჯგუფში.

„ახალგაზრდა ადვოკატები", 2012 წლიდან წარმოადგენს ახალგაზრდული ალიანსის: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის" სრულუფლებიან წევრს.

„ახალგაზრდა ადვოკატები", 2013 წლიდან წარმოადგენს „სისხლის სამართლის რეფორმის ალიანსის" წევრ არასამთავრობო ორგანიზაციას.

„ახალგაზრდა ადვოკატები" აქტიურად თანამშრომლობს ჯოლეგა პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, მონაწილეობს საერთო ღონისძიებებსა და შეხვედრებში.

„ახალგაზრდა ადვოკატები" ორიენტირებულია ყვლევით საქმიანობაზე. ამზადებს თემატურ დასკვნებს, რეკომენდაციებსა და მრგვალ მაგიდებს აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში.

ორგანიზაციის ყოველდღიური საქმიანობისა და განხორციელებული/მიმდინარე ყვლევების, პროექტებისა და დასკვნების შესახებ, ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ საიტზე:

www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
http://www.youtube.com/youngbarristers

მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7
ორგანიზაციის ტელეფონი: 2 374509, 2 374503
ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
სოფიო აზარიაშვილი - 551 081803
E-mail: **Pryoungbarristers@yahoo.com; Pryoungbarristers@gmail.com**
ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები" ს/კ 401973094
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: **GE92PC0563600100002778**

დანაპირები მაქსიმალურად უნდა შეასრულო

ქვეყნის განვითარება რამდენიმე ძირითად ფაქტორს – სწორედ შერჩეულ პოლიტიკურ მიმართულებას, ეროვნული მეურნეობის განვითარების ოპტიმალურ ეკონომიკურ მოდელს, ადამიანის სოციალურ, ქონებრივ, სამართლებრივ დაცვას და საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობას ემყარება. ეს ის ძირითადი ფაქტორებია, რომელთა გათვალისწინების გარეშე, ქვეყანაში შექმნილი ვითარების დაძლევა ფაქტობრივად შეუძლებელია. ჩვენ, საქართველოს მიწაზე მცხოვრებთ, პირველ ყოვლისა, ქვეყნის ბედი და ხვალინდელი დღე გვაინტერესებს. ქართველ ერს თავისი განვითარების ისტორიულ გზაზე დიდი სიძნელეები გადაულახავს და დღევანდელი ურთულესი მდგომარეობიდანაც გამოვა, მაგრამ რა დანაკარგებით და როგორ, ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დღეს ჩვენი საზოგადოება გარკვეულწილად, კვლავ დანაწევრებული და დაპირისპირებულია. ამ პირობებში ყველას, დიდსა და პატარას, სწორი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და გამაერთიანებელი მაღალზნეობრივი განვითარების გზის მოძებნა გვმართებს. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით დასაფასებელია იმ ადამიანთა ღვაწლი, რომლებიც საკუთარი შრომით და მოღვაწეობით გამუდმებით ამტკიცებენ ქვეყნისადმი ერთგულებას. სწორედ მათ კატეგორიას მიეკუთვნება ქალაქ ბათუმის მერი, ბატონი **ჯემალ ანანიძე**, რომელიც ბათუმის აწმყოსა და მომავალზე გვესაუბრა...

– ბატონო ჯემალ, ძნელია საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქის მერობა?

– 2012 წელს, როდესაც ბათუმის მერის თანამდებობაზე დავინიშნე, ქალაქის და ზოგადად რეგიონის მდგომარეობა ჩემთვის ზედმიწევნით ნაცნობი იყო, ვინაიდან წლების განმავლობაში აჭარის ფინანსთა სამინისტროში, ბათუმის უნივერსიტეტში და მერიაში ვმოღვაწეობდი. უახლესი პოლიტიკური ცვლილებების მიუხედავად, ბათუმი ზრდასა და განვითარებას მუდმივად და შეუქცევადად განაგრძობს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ქალაქს ჯერ დასრულებული სახე არა აქვს. ჩვენი გათვლებით, საჭიროა ბოლომდე განვითარდეს ინფრასტრუქტურა, მოწესრიგდეს მიწისქვეშა კომუნიკაციები, გზები და გარე განათების სისტემა. გერმანიის ბანკის პროექტით ხორციელდება წყლის და წყალარინების სისტემების რეაბილიტაცია. სადღეისოდ დასრულებულია სამუშაოების ორი ეტაპი, ხოლო, მესამე ფაზა 2014 წელს დაიწყება და ქალაქის დაახლოებით 40%-ს მოიცავს, რაც შესაბამის უბნებში არასტანდარტული ქუჩების მოწესრიგებას გულისხმობს.

– იმედია, მალე ყველაფერს დასრულებული სახე მიეცემა...

– აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბათუმის საზღვრების გადაწევასთან დაკავშირებით, ქალაქს პრობლემური ტერ-

იტორიები შეუერთდა, სადაც წყლის, წყალარინების და სანიაღვრე სისტემები სრულიად მოუწესრიგებელია. მოგეხსენებათ, ბათუმში ზღვის ადიდება მუდმივ პრობლემებს იწვევს. ჩვენ ამ კუთხითაც ვმუშაობთ და ვაკეთებთ სპეციალურ სანიაღვრე სისტემას, რის მეშვეობითაც წყლის წნევით გადაქაჩვა განხორციელდება და ზღვის დონის ცვლილებაზე აღარ ვიქნებით დამოკიდებულნი.

— კიდევ რა პროექტები განახორციელეთ?

— შევეცადეთ მოსახლეობისთვის ხელი შეგვეწყო ეზოების კეთილმოწყობაში. ქალაქის მასშტაბით მოწესრიგდა ტროტუარი და ველოსიპედის ბილიკები. ბათუმი გახლავთ მერების შეთანხმების წევრი ქალაქი 2011 წლიდან, რაც ეკოლოგიური სტანდარტების პროექტების განხორციელებას პირდაპირ გვავალდებულებს. ეს მოიცავს გარე განათების, ნარჩენების მართვის, განახლებადი ენერგიის და გამწვანების სისტემის გაუმჯობესებას, რათა ხელი შევუწყოთ ჟანგბადის გამოყოფას და ენერგომოხმარება ეკონომიური გავხადოთ. გარდა ამისა, მწირი ბიუჯეტის მიუხედავად, შევძელით და მოდერნიზება ჩავუტარეთ რამდენიმე ქუჩას.

— სოციალურ პრობლემებს როგორ უმკლავდებით?

— ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემების მიმართულებით მუშაობა რამდენიმე კუთხით მიმდინარეობს. მოქმედებს სხვადასხვა პროგრამა და შეღავათი, ვგეგმავთ თავშესაფრის მშენებლობას, ვმუშაობთ სოციალურად დაუცველ ფენაზე გათვლილ სხვა პროექტებზეც. ძირითადად აქცენტს ვაკეთებთ იმ პრობლემებზე, რომელიც კონკრეტულად ჩვენი რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. შეძლებისდაგვარად ვაფინანსებთ იმ ბავშვებს, რომლებსაც მკურნალობა უცხოეთში ესაჭიროებათ. მოქმედებს უფასო სასადილოები, რომლითაც რეგულარულად სარგებლობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობა.

— როგორია თქვენი სამომავლო გეგმები?

— სამომავლოდ გვსურს 4 წლიანი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება, რომელიც ქალაქის ეტაპობრივად განვითარებას განაპირობებს. ვაპირებთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობას, რაც ცალკეულ კორპუსებში მობინადრეთა საერთო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, სახლების სახურავების მოწყობას, საკანალიზაციო სისტემების განახლებას და ლიფტების შეკეთებას ითვალისწინებს. დღის წესრიგში კვლავ დადგება ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროგრამა, განხორციელდება ქუჩების, პარკების, სკვერებისა და მოედნების სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სპორტული მოედნების მშენებლობა, საბავშვო ატრაქციონების მოწყობა. აუცილებლად მივაქცევთ ყურადღებას საბავშვო ბაღების მშენებლობას და კაპიტალურ რემონტს. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია სპორტული და დასვენების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, მოზარდთა მასიური ფიზიკური კულტურის შემდგომი განვითარება, ახალი სპორტის სასახლის მშენებლობა და სასპორტო სკოლის შენობის კაპიტალური რემონტი. ყველა ამ პროგრამის განხორციელებისთვის შესასრულებელი სამუშაოების 100% ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

— ძალიან საინტერესო და მრავლისმეტყველი ჩამონათვალია...

— მიმაჩნია, რომ ადამიანმა დანაპირები მაქსიმალურად უნდა შეასრულო. როცა გენდობიან, მოლოდინი უნდა გაამართლო და ტყუილად არავის არაფერს დაპირდე. მე და ჩემი თანამოაზრეები მუდამ, ნებისმიერ გარემოებაში, მზად ვართ ვიშრომოთ ჩვენი ქალაქის და ქვეყნის კეთილდღეობისათვის.



როგორც ცნობილია, განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მხოლოდ იმ პირობებშია შესაძლებელი, თუ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, ოპოზიცია და პოზიცია, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა ერთობლივად აშენებენ საკუთარ ქვეყანას. შესაბამისად, როდესაც ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის უნდობლობა, ურთიერთგაუცხოება, ინტერესთა შეუსაბამობა, ბიუჯეტში თანხების უქონლობა და პოზიციების მკვეთრად განსხვავებული დამოკიდებულება არსებობს, წარმატების მიღწევა და წინსვლა-განვითარებაზე საუბარი უბრალოდ წარმოუდგენელია. საბედნიეროდ, ბოლო ერთი წლის განმავლობაში, დღევანდელი ხელისუფლების პირობებში ქვეყნის სტრატეგიული განვითარების მხრივ ახალი მიმართულებები და რეალობები გამოიკვეთა. საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ საქართველოს მთავრობა განსაკუთრებულ აქცენტს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე აკეთებს. გამონაკლისი არც მაღალმთიანი აჭარის რეგიონია. სოფლის მოსახლეობის საარსებო საშუალებების გაუმჯობესება, სიღარიბის რეალური დაძლევა და ინფრასტრუქტურული განვითარება ის პრიორიტეტებია, რომელიც ნამდვილად წაადგება რეგიონის აღმშენებლობას. სწორედ ამ მიმართულებით გვიზიარებს საკუთარ მოსაზრებებს შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **იური ქათამაძე.**

მთას მაშინ ეშველება, როდესაც ხალხი არ მოაკლდება

— ბატონო იური, რა გზა განვლეთ დღევანდელ დღემდე და სად მოღვაწეობ-დით?

— დაბადებიდან დღემდე ჩემს მშობლიურ, შუახევის რაიონს ვემსახურები. სხვადასხვა დროს მიმუშავია რაიონის განათლების მეთოდ-კაბინეტის გამგედ, სკოლის დირექტორის მოადგ-ილედ და დირექტორად. მინდა აღვნიშნო, რომ ჩემს პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი სწორედ განათლების სისტემას მი-უძღვის. გახლდით 2006 და 2010 წლების მოწვევის შუახევის რაიონის საკრებულოს დეპუტატი. მოგვიანებით, როდესაც ღირსეულ-მა პიროვნებამ, ბატონმა ნუგზარ ამაღლობელ-მა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებო-ბიდან მუნიციპალიტეტის გამგებლად გადაინ-

აცვლა, ამ საპასუხისმგებლო პოსტზე მე დავინიშნე და დღემდე ვაგრძელებ დაკისრებულ მოვალეობას.

— დღეისათვის რა მდგომარეობაა რაიონში?

— მუშაობა რამოდენიმე მიმართულებით არის წამოწყებული და მათ ღირსეული დასრულება ესაჭიროება. მოსახლეობა ძირითადად ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ითხოვს. მოსაგვარებელია გზების, წყლის მიწოდებისა და ბუნებრივი აირის პრობლემები. ამ საკითხების გადასაწყვეტად შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო უწყვეტ რეჟიმში მუშაობს და ყველანაირ ძალღონეს ხმარობს, რათა რაიონის მაცხოვრებლებს ელემენტარული მოთხოვნები დაუკმაყოფილოს და სოციალური თუ ეკონომიკური კუთხით ქვეყნის წარმატებები თვალნათლივ დაანახოს.

— კონკრეტულად რა მიმართულებით მუშაობთ?

— რაიონში სოციალური პროგრამების განხორციელება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, თუმცა, სისტემას საბოლოოდ მაინც დახვეწა და ჩამოყალიბება ესაჭიროება. მოსაგვარებელია სოციალურად დაუცველთათვის ქულათა მინიჭების სისტემა, რათა იგი უფრო მოქნილი და ეფექტური გახდეს. სულ მალე დაიწყება შუახევის ჰესის მშენებლობა, რომელიც ნორვეგიული პროგრამის მიხედვით ინდოეთის ინვესტიციებით აშენდება. რაც ადგილობრივი მოსახლეობის ეტაპობრივ დასაქმებას შეუწყობს ხელს. როგორც მთელს ქვეყანაში, ჩვენთანაც დიდი ყურადღება ეთმობა ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას და განვითარებას, რადგან რაიონის უნიკალური ბუნება და ადგილმდებარეობა უცხოელთა დიდ დაინტერესებას იწვევს.

— ჯანდაცვის სისტემას რაც შეეხება?

— საქართველოს მთავრობამ, გასული ორი ათწლეულის განმავლობაში, ჯანდაცვის სისტემის სერიოზული და ძირეული გადახალისება მოახერხა. თუმცა, მიუხედავად ახალი პროექტებისა და მიმართულებებისა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კვლავ გაურკვევლობაშია და სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებით მეტ გამჭვირვალობას ელოდება. ძალიან მაწუხებს ის გარემოება, რომ რაიონში გვაქვს შესანიშნავი, საჭირო აპარატურით აღჭურვილი საავადმყოფო, მაგრამ ექიმები მცირე ანაზღაურების გამო ჩვენთან მუშაობას თავს არიდებენ და მხოლოდ პერიოდულად ახერხებენ ამოსვლას.

— ბატონო იური, სამომავლოდ რა გეგმები და საკითხები განიხილება?

— რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გარკვეული თანხები იყო გამოყოფილი და სოციალური, სპორტული, კულტურული და სხვა საზოგადოებრივი ინიციატივების განსახორციელებლად გამოვიყენეთ. მომავალში, ახალი ბიუჯეტის შესაბამისად, ხელს შევუწყობთ სოფლის მეურნეობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, სამუშაო ადგილების შექმნას და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას. კონკრეტული სიახლეებიდან აღსანიშნავია რაიონში საპატრიარქოს ძალისხმევით დაარსებული ხიჭაურის საგანმანათლებლო-სასწავლო ცენტრი, უახლოეს მომავალში საბოლოოდ დასრულდება ახალი სპორტული კომპლექსის მშენებლობა, გამოყოფილია თანხები იმისთვის, რომ ადგილობრივი სტადიონი საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს. დარწმუნებული ვარ, მთას საბოლოოდ მაშინ ეშველება, როდესაც ინფრასტრუქტურა განვითარდება და სოფელს ხალხი არ მოაკლდება.

„მდიდარი ადათ-წესების მქონე ერი ვართ“

საქართველოსთვის რეგიონული განვითარება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, უკვე ათეული წლებია ვერ მოხერხდა ქვეყნის რეგიონებში სოფლის მეურნეობის სექტორის მოდერნიზება. ფერმერულ გაერთიანებათა რაოდენობა ძალზე მცირეა და მათი უმრავლესობა მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის უპირატესობით ვერ სარგებლობს. ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს მნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალი აქვს. გათვლები ადასტურებს, რომ შესაძლებელია ფერმერული და აგროინდუსტრიული წარმოების მნიშვნელოვნად გაზრდა. განვითარებული სოფლის მეურნეობა შეიძლება იმ სტიმულად იქცეს, რომელიც ბიძგს მისცემს ეკონომიკურ ზრდას და ინფლაციის შემცირებას, რასაც დადებითი სოციალური შედეგები მოჰყვება. სწორედ ამიტომ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგიონალურ სექტორზე აქცენტების გადატანა და ქვეყნის დეცენტრალიზაცია, როგორც საქართველოს უსაფრთხოების, ისე მისი სტაბილურობისთვის. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ბატონი **ტარიელ ებრალიძე** რეგიონში სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარე ცვლილებებზე გვესაუბრა.

- ბატონო ტარიელ, რა მდგომარეობა დაგხვდათ და ზოგადად რა პრობლემებია რეგიონში?

- აჭარის მთიანი რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, შუახევის მუნიციპალიტეტში პრობლემები ულევია. ამ ეტაპზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს ვახორციელებთ, რათა მოსახლეობას ცხოვრების ელემენტარული პირობები დავუკმაყოფილოთ. რაიონის მაცხოვრებელთა 85 პროცენტი სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული. სადღეისოდ მართვადი დემოგრაფიული პროცესების ფონზე შუახევში ჭარბი შრომითი რესურსია. გვყავს ოჯახები, სადაც 4-5 შრომისუნარიანი წევრია, თუმცა სარგებლობაში ერთი ჰექტარი მიწაც არა აქვთ. ასეთ ვითარებაში ადამიანები სამუშაოს რაიონის გარეთ ეძებენ. თუმცა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთების სიმცირის ფონზე ადგილობრივი ფერმერები შესაძლებლობის მაქსიმუმს ახერხებენ და პროდუქცია ბაზარზე გააქვთ.

– კიდევ რა მნიშვნელოვანი მიმართულებებია რაიონში?

– სოფლის მეურნეობასთან ერთად, ადგილობრივი ბუნებრივი და სასარგებლო წიაღისეულის ბაზაზე, საჭიროდ მივიჩნევთ მრეწველობის სხვადასხვა დარგების განვითარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სვანეთის და ფშავ-ხევსურეთის მსგავსად, აჭარის მთიანეთს დაცარიელება ემუქრება. ჩემმა წინამორბედებმა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს, თუმცა საქმეს გონივრული გაგრძელება ესაჭიროება. ამ ეტაპზე ჩვენი თანადგომით მიმდინარეობს „შუახევჰესისა“ და სხვა მცირე ჰესების მშენებლობა. ნორვეგიული კომპანია „კლინ ენერჯი ინვესტი“ და ინდური ფირმა „ტატა ჯგუფი“ 175-300 მგვტ-ის სიმძლავრის ჰესს აშენებენ. პროექტი სამ წლიანია და ამ სექტორში საქმიანობისთვის 600 ადგილობრივი მკვიდრის გადამზადება მოხერხდა. პარალელურად, ტენდერში გამარჯვებული თურქული ფირმა „აიჯე“ („AGE“) ასევე შუახეველი მუშახელის დასაქმებას გვპირდება.

– ზამთრის პერიოდს როგორ შეხვდით?

– დაზამთრებას მომზადებულები შევეგებეთ. მოსახლეობა გასათბობი საშუალებით დროულად მომარაგდა. დეკემბრის დასაწყისში მოსული დიდი თოვლის მიუხედავად სასიცოცხლო ობიექტები გამართულად მუშაობს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა. გამოდარებისთანავე სოფლებს დენის მიწოდება აღუდგათ. ყველა დასახლებულ პუნქტამდე საავტომობილო გზები თოვლისგან გაიწმინდა და 43 საჯარო სკოლიდან 27-ში ბავშვები ტრანსპორტით გადაგვყავს. არავინ იცის ბუნება რა სიურპრიზებს გვიმზადებს, ამიტომ, ვცდილობთ წინა წლების გამოცდილება არ დავივიწყოთ და უბედური შემთხვევები მაქსიმალურად თავიდან ავიცილოთ.

- რამდენად რთული და საპასუხისმგებლო სამსახური ჩაიბარეთ?

– მე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, მზად ვარ ჩემს ქვეყანას ნებისმიერ რანგში ვემსახურო. მას მერე, რაც 1952 წლის დეკემბერში შუახევი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბდა, ჩემს ახლობლებს, მამის მამას და სხვებს დიდი ჯაფა აქვთ გაწეული. მე შუახევის 21-ე პირველი პირი ვარ. წინამორბედთა დანატოვარს მინდა ბევრი შევმატო, რათა ბატონების: ლევან უკლებას, სოლომონ მაკარაძის, მიხეილ ხოზრევანიძის, ანზორ გოგიტიძის და სხვათა გვერდით მეც მომიხსენონ.

- მომავალი წლის პრიორიტეტები როგორ გესახებათ?

- ქვეყნის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობისგან დახმარება არ გვაკლია. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე უკვე იყო 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტზე მსჯელობა. სამომავლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდება. უმთავრესია სოფლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მოსახლეობის სასმელი და სარწყავი წყლით უზრუნველყოფა. ამასთან ცენტრალური ხელისუფლება გვპირდება ჭვანის, მარეთის ხეობებსა და უჩამბის თემის მიმართულებით საავტომობილო გზების რეაბილიტაციას და ასფალტის საფარის დაგებას. 2013 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან რამდენიმე პროგრამა დაფინანსდა. ისინი გაისად გაგრძელდება. წყაროთაში, ნენიასა და ნიგაზეულში სასმელი წყლების მოძიების სამუშაოები დავიწყეთ. მიმდინარე პროექტები გვაქვს გორში, ახადაბაში, ბუთურაულში, ფურტიოში, ჭალაში და სხვა სოფლებში.

– სოციალურად დაუცველთა კუთხით რა სიტუაციაა რაიონში?

– ჩემი ინიციატივით შევქმენით ფონდი „თანადგომა“, რომელიც ინდივიდუალური შემოწირულობებით შეივსება და სწორედ იმ ადამიანებს წაადგება, რომელთაც სწავლის, მკურნალობის და ქირის გადახდა უჭირთ. გარდა ამისა, შუახევის ცენტრში უკვე გვაქვს სახლი, სადაც სტიქიისგან დაზარალებული და სოციალურად დაუცველი 37 ოჯახი ბინადრობს, ხოლო მომავალ წელს იგეგმება 120 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სადაც სტიქიისგან დაზარალებულები, უკიდურესად გაჭირვებული და მარტოხელა დედები იცხოვრებენ.

- შემოდგომას საინტერესო დღესასწაულით აღნიშნავთ...

– „შუახეობა“ უკვე ტრადიციულ დღესასწაულად ვაქციეთ... ამ დღესასწაულს სათავე 1982 წელს დაედო და თავიდანვე თაობების ლამაზი ურთიერთობის დემონსტრირება იყო. 2012 წელს „შუახეობა“ არ გამართულა და ჩვენ მისი ახლებურ ფორმაში გამართვა შევძელით. წელს მარტო ამ ღონისძიებით არ შემოვფარგლულვართ. აგვისტოში მთებში „შუამთობა“ ვიზეიმეთ. რაიონმა უმასპინძლა ხელოვნების კვირეულს, ფესტივალებს: „ზე-კართან“ და „ჯვარიმინდორი“. აღინიშნა რაიონული ბიბლიოთეკის დაარსების 60 წლისთავი. შევხვდით მწერლებს, კულტურისა და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებს, გაიმართა ადგილობრივ ხელოვანთა გამოფენები. მუნიციპალიტეტში „უხუცესთა საბჭოს“ ვქმნით და გამორჩეულად მივაგებთ პატივს იმ ადამიანებს, რომლებმაც საკუთარი ცხოვრება, როგორც შუახევის, ისე საქართველოს აღმშენებლობას მოახმარეს.

ქვეყნის რეგიონებში განხორციელებული რეფორმებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების ეკონომიკური თუ სოციალური სარგებელი დიდ მასშტაბებს მოიცავს, რაც ხელისუფლების უმთავრესი მიზნის - ერთიანი და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ყოველი ახალი პროექტი, თავდაუზოგავ შრომასა და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას მოითხოვს. შენება ერთიანი საქართველოსთვის უნდა იყოს ჩვენი მოქალაქეების საქმიანობის მთავარი მიზანი. ეკონომიკური წინსვლით მიღებული შედეგი უახლოესი მომავლის პერსპექტივაა და კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადაიდგა. სულ მალე, თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიხედვით გაიზრდება თვითმმართველი ქალაქების რაოდენობა; თვითმმართველი ქალაქების მიმდებარე სოფლებისგან ჩამოყალიბდება თემები, რომლის ბაზაზეც ფორმირდება მუნიციპალიტეტები; სოფლებში განსაზღვრულია საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა; გუბერნატორის ინსტიტუტის პარალელურად, შეიქმნება კოლეგიური ორგანო, რომელიც ჩართული იქნება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. თვითმმართველი ერთეულების მმართველი რგოლები იქნება არჩევითი. ასევე, განისაზღვრა ფისკალური დეცენტრალიზაციის გრძელვადიანი ხედვა, რაც თვითმმართველობებს მეტ ფინანსურ რესურსს გაუჩენს. ამ მიმართულებით განსაკუთრებულია ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის სტრუქტურების როლი, რადგან, მათ ყველაზე უკეთ იციან საკუთარ რეგიონში არსებული პრობლემების და შესაძლებლობების შესახებ. საკუთარ რაიონში არსებული პრობლემები თუ სიახლეები არც ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, ბატონი **ნადიმ ვარშანიძისთვის** არის უცხო...

საზოგადოებაში უნდა ჩამოყალიბდეს საშუალო ფენა

— ბატონო ნადიმ, რა სიტუაცია დაგხვდათ რაიონში?

— ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში იდეალური მდგომარეობა რომ არ დამხვდებოდა, ყველასთვის ცნობილია. სწორედ ამიტომ, დღევანდელ ხელისუფლებასთან ერთად, ვცდილობთ მთლიანი სისტემა შევცვალოთ, რათა კანონი სახელმწიფოზე იყოს მორგებული და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარეობდეს. შესაბამისად, აუცილებელია საჭირო კადრების დროულად და ობიექტურად შერჩევა, ვინაიდან, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბისმარკი ამბობდა: „ცუდი კანონით და კარგი კადრებით შეიძლება ქვეყნის მართვა, მაგრამ პირიქით - შეუძლებელია“. ამიტომ, აუცილებელია ნორმალური სახელმწიფოს სისტემის და სტრუქტურის ჩამოყალიბება.

— რა შეიცვალა ხელვაჩაურში თქვენი დანიშვნის შემდეგ?

— პირველ რიგში შევეცადე მუნიციპალიტეტში სანიმუშო დისციპლინა დამემყარებინა. ვცდილობ, შიდა საქმიანობა არა ვერტიკალურ, არამედ ჰორიზონტალურ მართვაზე გადავიყვანო, როდესაც არ არსებობს დიქტატი, ყველამ საკუთარი მოვალეობა იცის და საქმეს ზედმიწევნით სწორად და გულმოდგინედ ასრულებს. გარდა ამისა, წელს რაიონის ყველა სოფლის მცხოვრებლებს შევხვდით. ჩვენ ვმოქმედებთ შემდეგი პრინციპით: თავდაპირველად ვეცნობით ამა თუ იმ სოფლის და ცალკეული უბნის წინაშე მდგარ პრობლემებს. ეს პრობლემები ცალკე საკითხებად გვაქვს ჩამოწერილი. მოსახლეობასთან შეხვედრის დროს მათთან ერთად ვმსჯელობთ თითოეული

საზოგადოების არსებობის აუცილებლობაზე არავინ დაობს, რადგან იგი დემოკრატიის განუყოფელ ნაწილად განიხილება. დემოკრატიული სახელმწიფო წარმოუდგენელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობის გარეშე და თავის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებაც განაპირობებს დემოკრატიულობის მაღალ ხარისხს. განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს ჯანსაღ და დაბალანსებულ პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობას, რაც მეტ-ნაკლებად ითვალისწინებს ყველა ინტერესთა ჯგუფის შეხედულებასა და მისწრაფებებს. ამ ყველაფერს სწორედ მომავალი თაობების სწორად აღზრდა და კარგი განათლება უნდა დაედოს საფუძვლად, ხოლო შედეგად, საზოგადოებაში უნდა ჩამოყალიბდეს საშუალო ფენა და სამუდამოდ აღმოიფხვრას სიღარიბე.

საკითხის მოგვარებაზე. მოგეხსენებათ, თითოეული სოფლის განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გარკვეული თანხაა გამოყოფილი. ადგილზე მოსახლეობასთან ერთად ვწყვეტთ, თანხები რა მიმართულებით უნდა იქნეს გამოყენებული და ამის ათვისებაც ოპერატიულად ხდება. ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი ენერგია დავხარჯოთ ხალხის კეთილდღეობისათვის, ვინაიდან დღეს მათ სამსახურში ვიმყოფებით.

— რა სიახლეებია რაიონში?

— სამწუხაროდ, ზოგადი სოციალური ფონი ჯერ კიდევ მძიმეა. რაიონში ძალიან ბევრი სოციალურად დაუცველი, გაჭირვებული და დაუსაქმებელია. თუმცა სიახლეები და წარმატებებიც არის. დაიგო და კეთილმოეწყო სოფლის შიდა გზების 31 კილომეტრიანი მონაკვეთი. გეგმის მიხედვით გრძელდება გაზიფიცირების პროგრამა. მომავალი წლის ადგილობრივი ბიუჯეტით ახალშენში, ბაშქო-ეკალაურში, წიფლნარაერგეში და ზანაქიძეებში რეაბილიტირებული იქნება სასმელი წყლის სისტემები. აჭარისწყლის თემში აშენდება ახალი საბავშვო-ბაღი და გარემონტდება მახინჯაურის დაწყებითი სკოლა. გარდა ამისა, ვფიქრობთ, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სოციალურ სახლებს.

— კიდევ რა გეგმები გაქვთ სამომავლოდ?

— პრიორიტეტად სოციალური საკითხების მოგვარება და განათლების სფეროს განვითარება რჩება. თანამედროვე მსოფლიოში სამოქალაქო

შპს „იბერია ელ

ხარისხის დაცვა, ჭეშმარიტებლო

ისტორიული ცნობა

შპს **„იბერია ელექტროსერვისი"** არსებული პროფილით, ფუნქციონირებს უკვე მე-10-ე წელია, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა რუსთავის საქალაქო სასამართლოში 2004 წლის 11 ივნისს. სარეგისტრციო №5/ბ-225. ლიცენზია სლც №3983 გაცემული: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სპეციალიზებული სალიცენზიო საბჭოს მიერ 29.10.2004წელს. მოქმედების ვადა: უვადო.

შპს **„იბერია ელექტროსერვისი"** _ ეს კარგად ორგანიზებული მობილური საწარმოა, ძლიერი ინჟინერ - ტექნიკური სამსახურით და გამოცდილი, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული. თანამედროვე მასალების და ტექნოლოგიის გამოყენება, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე ტექნიკური კონტროლის სისტემის გამოყენება გვაძლევს საშუალებას სამუშაოები შესრულდეს მაღალ დონეზე და ხარისხიანად.

ძირითადი პროფილი

კომპანია ლიცენზიის თანახმად აწარმოებს: სამრეწველო საწარმოთა ელექტრო დანადგარების და მოწყობილობების სარემონტო, სამონტაჟო და გაშვება-გაწყობის სამუშაოებს; ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვის სისტემების შექმნას, დამზადებას და დამონტაჟებას; ელ.დანადგარებისთვის ცალკეული დეტალების, კვანძების დაპროექტება-დამზადებას და ყველა ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით ელექტრო დანადგარების და მოწყობილობების სერვისულ მომსახურეობას.



ჩვენ ვაწარმოებთ:

ტრანსფორმატორების, ავტოტრანსფორმატორების და რეაქტორების შეკეთებას

- 0,4 კილოვოლტიდან 110 კილოვოლტის ჩათვლით 25კვა-დან 80 000კვა-მდე როგორც ზეთიანი ისე მშრალი შესრულების სხვადასხვა მოდიფიკაციის ტრანსფორმატორები, ავტოტრანსფორმატორები და რეაქტორები.

ელექტროძრავების, გენერატორების და კომპენსატორების შეკეთებას

- ელექტრომანქანები 1 კვტ-დან 5 000 კვტ-მდე: როგორც მუდმივი ისე ცვლადი დენის, სინქრონული და ასინქრონული, დაბალი და მაღალი ძაბვის, ამწე მექანიზმების, ლიფტების, მეტალურგიული, ფეთქებად საშიში, როგორც მრგვალი ისე პროფილიანი გამტარის სექციებით.



ტვირთამწე და რკინის მომცლელი მაგნიტების შეკეთებას

- ყველა მოდიფიკაციის და სერიის ტვირთამწე ელექტრომაგნიტების, ელექტრომაგნიტური ჰლიტების და რკინის მომცლელი სეპარატორების ალგზნების კოჭების გადახვევის, მართვის ბლოკების შეკეთების და შემავსებელი კომპაუდების შეცვლის სამუშაოები.

ქვესადგურების გამანაწილებელი მოწყობილობების შეკეთებას

- სატრანსფორმატორო პუნქტების, ღია და დახურული გამანაწილებელი მოწყობილობებ-

იმედი გვაქვს, რომ ჯეროვნად შეაფასებთ ჩვენს პროფესიონალურ მიდგომას და მაღალი დონის სერვისს ელექტროდანადგარების მონტაჟის სფეროში, რაც საფუძველი იქნება სასურველი ურთიერთთანამშრომლობისა





ექტროსერვისი"

ბს, ლამაზი თანამედროვე ტექნოლოგიებს

ის: ზეთიანი და ვაკუმური ამომრთველების, მათი ამოძრავების, გამთიშველების და სასალტეო მეურნეობის შეკეთების და სარელეო დაცვის და მართვის სისტემების გაწყობის სამუშაოებს, „სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური ექსპლუატაციის და უსაფრთხოების ტექნიკის წესები"-ს სრული დაცვით ტექნიკური მოთხოვნების საფუძველზე.

სატრანსფორმატორო, საკომპრესორო, ტურბინის და სამანქანო ზეთების აღდგენას

● მომსახურეობას სატრანსფორმატორო, საკომპრესორო, ინდუსტრიული და ტურბინის ზეთების აღდგენაში (რეგენერაციაში) სერთიფიცირებული მობილური მოწყობილობებით, მაღალი ხარისხის გარანტიით.

● ვაწარმოებთ ზეთების შრობას (გამრღვევი ძაბვის აწევას), გაწმენდას მექანიკური მინარევებისგან, დეგაზაციას და მჟავიანობის დაწევას.

● მოწყობილობების მობილური შესრულება გვაძლევს საშუალებას შევასრულოთ სამუშაოები უშუალოდ ობიექტზე საქართველოს ნებისმიერ რეგიონში.

● ზეთის მინიმალური პარტია: ადგილზე საამქროს პირობებში - 200 კგ ; ობიექტზე გასვლის შემთხვევაში - 5 000 კგ.

ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს

● შპს **„იბერია ელექტროსერვისი"** მზადაა, თქვენი მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით, მოცემულ სფეროში განახორციელოს ნებისმიერი სირთულის პროექტი ნულიდან - „გასაღების ჩაბარებით":

1. **შიდა საინჟინრო სისტემების, ქსელების და დანადგარების მოწყობის სამუშაოები:**

● 1000 ვოლტამდე და 1000 ვოლტს ზევით ელექტრო მომარაგების ქსელების, დახურული და ღია გამანაწილებელი მოწყობილობების, როგორც კომპლექსში ისე ცალკეული კვანძების მოწყობა.

● ელექტრო მოწყობილობების და დანადგარების მართვისა და დაცვის სისტემების მოწყობა.

2. **ტექნოლოგიური მოწყობილობების მონტაჟი:**

● ელექტრო და ტექნოლოგიური მოწყობილობები, მათ შორის ტვირთამწე მექანიზმები, რკალური და ინდუქციური სადნობი ღუმელები.

● ტექნოლოგიური პროცესების ავტომატური მართვის, კონტროლის და ინფორმაციის სისტემები.

3. **გაშვება - გაწყობის სამუშაოები:**

● ყველა ელექტრო ტექნიკური მოწყობილობის ძალოვანი ნაწილის გაწყობა

● მათი მართვის და დაცვის სისტემების გაწყობა.

● ტექნოლოგიური პროცესების და საინჟინრო მოწყობილობების ავტომატური მართვის სისტემების გაწყობა.



მისამართი:

რუსთავი.

დავით გარეჯის 28

ტელეფონები:

577-509-706;

599 189-787;

595 914-280



დიდი სურვილი მაქვს, რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებს მივხედო

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს თვალყურს მთელი მსოფლიო ადევნებს და დადებითად აფასებს. ახალი მთავრობის მიერ აღებული კურსი ორიენტირებულია სტრუქტურულ ცვლილებებზე, წარმოების ზრდაზე, სამართლიანობის აღდგენასა და უთანასწორობის შემცირებაზე. ქვეყნის განვითარება ეკონომიკურ-პოლიტიკური პირობების ურთიერთქმედების და ზოგადად კაპიტალიზმის დინამიკის შედეგია. საქართველოს მთავრობის კურსი ნათელს ხდის, რაოდენ მნიშვნელოვანია ახალი რეალობის ფონზე სისტემური განახლება და რა ცვლილებებია საჭირო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში კეთილისმყოფელი გავლენის მისაღებად... სასიხარულოა, რომ გლობალურ განვითარებასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩართვას რაიონებში სიღარიბის და ეკონომიკური პრობლემების დაძლევისკენ მიმართულ პროცესებში. პრიორიტეტი ენიჭება თემების განვითარების, სამუშაო ადგილების შექმნის, სოფლის მეურნეობიდან შემოსავლების გაზრდის მოდელებს. მთავრობის მიზანია გააუმჯობესოს ხელისუფლების თანამშრომლობა მოსახლეობასთან, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და გაზრდის ადგილობრივი მთავრობის შესაძლებლობას უკეთესი რეაგირება მოახდინოს მოსახლეობის პრობლემებზე. ქობულეთის რაიონი, ისევე როგორც მთლიანად აჭარის რეგიონი, აქტიურად არის ჩართული მიმდინარე პროცესებში. მიმდინარეობს გზებისა და ენერგოინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, ბიზნესის განვითარება, იგეგმება გრძელვადიანი ინვესტირება რეგიონის მცირე და საშუალო საწარმოებში, აგრობიზნესსა და ტურიზმის სფეროში. რაიონში უფრო და უფრო აცნობიერებენ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების ზოგად მნიშვნელობას. სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ **გიორგი რომანაძეს** ვესტუმრეთ.

— ბატონო გიორგი, რისი გაკეთება შეძელით ამ მოკლე პერიოდში?

— მოგეხსენებათ, აჭარის ხუთი რაიონიდან ქობულეთი ყველაზე დიდი და პრობლემატურია. მუნიციპალიტეტის ეკონომიკა ძირითადად განპირობებულია სამეწარმეო სფეროში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებით. კურორტისა და სოფლის მეურნეობის ძირითადი შემოსავალი კერძო სექტორზე მოდის. სიმართლე გითხრათ, ჯერჯერობით პრობლემები გვემატება, თუმცა მათი მოგვარების გზები დავსახეთ და თანამიმდევრულად ვახორციელებთ.

— კონკრეტულად, რა მიმართულებებით?

— როდესაც თანამდებობაზე დავინიშნე, საკურორტო სეზონი თითქმის მილეული გახლდათ და სეისმოლოგიურად და კლიმატურად რთული პერიოდი იწყებოდა. მიწისძვრამ გააქტიურა მანამდე არსებული მეწყერული პროცესები, რასაც წვიმები დაერთო და მოსახლეობის პრობლემებმა ერთიორად იმატა. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ცდილობს ყოველ თხოვნას და საჩივარს გამოეხმაუროს და სათანადო რეაგირება მოახდინოს. გარდა ამისა, სოციალურ და ჯანდაცვის სფეროში ათამდე პროგრამას ვახორციელებთ, მათგან აღსანიშნავია ეპილეფსიით დაავადებულთა და დიალეზის პროგრამები, რომელთა ანაზღაურებას საყოველთაო დაზღვევა არ ითვალისწინებს.

— რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარება ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო...

— ეს საკითხი კვლავაც აქტუალურია. დიდი მუშაობა მიდის მიწისქვეშა კომუნიკაციების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. ვაწარმოებთ, როგორც მიმდინარე, ისე მოცულობით სამუშაოებს. თითქმის თავიდან გვიხდება აღმაშენებლისა და მიმდებარე ქუჩების საკომუნიკაციო სისტემისა და ასფალტის საფარის მოწესრიგება, რაც ძალზედ დიდ თანხებს მოითხოვს.

— საკადრო რეორგანიზაცია თუ განახორციელეთ?

— რეორგანიზაცია დღესაც ეტაპობრივად მიმდინარეობს და მასშტაბური ხასიათი არ მიუღია. საკითხს სუფთა მენეჯერული კუთხით ვუყურებ და მიმაჩნია, რომ გადამწყვეტი ფაქტორი ადამიანების პროფესიონალიზმია და არა მათი პოლიტიკური პლატფორმა. მიუხედავად ამისა, ატესტაციები აუცილებელი, სავალდებულო პროცესია და საჯარო მოხელეთა უახლოესი ტესტირება 2014 წლის იანვარშია დაგეგმილი.

— სამომავლოდ რა სიახლეებს გეგმავთ?

— გარდა სოციალური პრობლემებისა, დიდი სურვილი

მაქვს, რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებს მივხედო. მიუხედავად იმისა, რომ ქობულეთი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სატრანზიტო და საკურორტო ქალაქია, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, კულტურის სახლი არ გააჩნია, მხოლოდ ღია თეატრი კი, რომელიც ზაფხულობით ფუნქციონირებს, ქალაქის მაცხოვრებელთა თუ დამსვენებელთა მზარდ მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებს. საბედნიეროდ, ადგილი გამოგვიყვეს და პროექტიც დასრულებულია, ამიტომ იმედია ქობულეთს მალე შეემატება კულტურული კერა, სადაც გაცილებით დიდი ღონისძიებები ჩატარდება.

— კიდევ რით აპირებთ გამოაცოცხლოთ რაიონის ცხოვრება?

— გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტებისა, ვაპირებთ აქცენტირება მოვახდინოთ ნაპირსამაგრ სამუშაოებზე და ჯებირების აგებაზე, რათა სამომავლოდ მაქსიმალურად შევზღუდოთ ქალაქის დატბორვის შესაძლებლობა. დიდი სურვილი გვაქვს უმოკლეს დროში მივხედოთ ქობულეთის იერსახეს. განვიხილავთ ქალაქის სივრცითი მოწყობის პროგრამას, რომლის მიხედვითაც, ელექტრონულად, „ჯიპიესით“ მონიშნული ადგილები სამომავლო განვითარების გეგმაში ჩაჯდება და ახალ, თანამედროვე დიზაინის სავაჭრო ობიექტების განთავსებას გაითვალისწინებს. იმედია, ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოების შედეგად, ქობულეთი უფრო მიმზიდველი გახდება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვის, რაც კიდევ უფრო გამოკვეთს რეგიონის მზარდ პოტენციალს ქვეყნის წინსვლის და განვითარების საქმეში.

გადაწყვეტილი გვაქვს საქმიანობის გაფართოება

გარდამავალ ეტაპზე პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვას საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. სტაბილური ეკონომიკური განვითარება, ლიბერალური და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკური პოლიტიკა, მხოლოდ 6 გადასახადი და შემცირებული საგადასახადო განაკვეთები, ლიცენზიებისა და ნებართვების მცირე რაოდენობა, ადმინისტრაციული პროცედურების სიმარტივე, პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, კარგად განვითარებული და ინტეგრირებული სატრანსპორტო სისტემა, განათლებული კვალიფიციური და კონკურენტული სამუშაო ძალა და სხვა მრავალი ფაქტორი წარმოადგენს მყარ საფუძველს საქართველოში ბიზნესის დაწყებისა და მისი წარმატებული განვითარებისათვის. ახალი მთავრობის პირობებში, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ადამიანების მოღვაწეობას, რომლებიც საკუთარ მამულიშვილურ ვალად თვლიან ქვეყანაში ფულის დაბანდებას და ეკონომიკურ წინსვლაში მონაწილეობას, როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონალური მასშტაბით. რამოდენიმე წელია, ქობულეთს ცივილიზებული, თანამედროვე სტანდარტების აგრარული ბაზარი შეემატა. მისი დირექტორი, ქალბატონი **ანჟელა ხაჯიშვილი** სწორედ იმ გარემოებებზე გვესაუბრა, რომლის შედეგადაც, ამ ქალაქში კიდევ ერთმა ობიექტმა იწყო ფუნქციონირება

— ქალბატონო ანჟელა, როდის დაინიშნეთ თანამდებობაზე?

— ჩემი თანამდებობაზე დანიშვნა 2004 წელს მოხდა, როდესაც ქობულეთის აგრარული ბაზარი ჯერ კიდევ რაიონის მუნიციპალიტეტს ეკუთვნოდა. ობიექტზე საშინელი მდგომარეობა დამხვდა, ყველაფერი მოძველებული, ნგრევის პირას იყო მისული და საშინელი ანტისანიტარია სუფევდა.

— ვითარება როდიდან გამოსწორდა?

— იმ პერიოდში ხელისუფლება უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ბიზნესმენებს ქვეყნის მხარდასაჭერად საქართველოში კაპიტალის დაბანდებას სთხოვდა. რუსეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენმა ბატონმა მალხაზ რომანაძემ გადაწყვიტა ეკონომიკის აღმავლობის საქმეში საკუთარი წვლილი შეეტანა. ჩამოვიდა, გაეცნო გასაყიდი ობიექტების ნუსხას და „აჭარკოოპკავშირის“ მიერ გასაყიდად გამოტანილი ქობულეთის აგრარული ბაზრის შეძენა გადაწყვიტა. როგორც კი ფორმალური მხარე მოგვარდა, ოპერატიულად დაიწყო მშენებლობა, გაიწმინდა ტერიტორია, შეიქმნა სამშენებლო ბრიგადა, მოიზიდეს ტექნიკა და სამუშაოები გაჩაღდა. ტერიტორია ნაჭაობარი იყო და ყოველ წელიწადს უხვი წვიმების გამო იტბორებოდა, 1,5 ჰექტარი ამაღლდა 80 სმ-ის სიმაღლეზე, მოიზვინა ტერიტორია, ჩაიწყო წყალ-კანალის ახალი გაყვანილობა, რომელიც ქალაქის წყალსადენ-კანალიზაცის სისტემაზე მიერთდა, აშენდა ახალი სავაჭრო ცენტრი, სადაც დღეს ექვსასამდე ადამიანია დასაქმებული.

— ახლა რა პროცესები მიმდინარეობს?

— როგორც მოგახსენეთ, ფაქტობრივად ყველაფერი თავიდან გაკეთდა. ამჟამად, ეტაპობრივად მიმდინარეობს ძველი შენობის ლიკვიდაცია და მიმდებარე ტერიტორიიდან ჯიხურების აღება, ნაგებობაში თანამედროვე სტანდარტების დახლები, ლაბორატორია და საბითუმო და საცალო ვაჭრობის ობიექტები განთავსდა. ბაზრის ძირითადი ნაწილი ადგილობრივ პროდუქტებს ეთმობა, თუმცა მომხმარებელს სხვა პროდუქციის შეძენაც შეუძლია.

— სამომავალოდ რა სიახლეებს გეგმავთ?

— გადაწყვეტილი გვაქვს საქმიანობის გაფართოება. ვფიქრობთ 1500 პერსონაზე გათვალისწინებული სარიტუალო დარბაზის მშენებლობას, მინი-სასაკლაოს აგებას და კომფორტული ავტოსადგომის გამართვას, ყველაფერი ევროსტანდარტების დონეზე უნდა გაკეთდეს, რათა სეზონის დადგომისთვის ტურისტებსა და დამსვენებლებს მომზადებულები შევხვდეთ.

— ამ ყველაფერს კვლავ ბატონი მალხაზი წარმართავს?

— რასაკვირველია, ბაზრის მფლობელი კვლავ ბატონი მალხაზ რომანაძეა, რომელიც დღეისათვის მოსკოვის ოლქში ერთ-ერთი წარმატებული საქმოსანი და რამდენიმე სავაჭრო ცენტრის მფლობელია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბიზნესი ვითარდება, მომსახურე პერსონალი დროულად იღებს ხელფასს და ყველა კმაყოფილია, მყიდველი იქნება თუ გამყიდველი. ამას დაუმატეთ ის სოლიდური თანხა, რომელიც ჩვენგან ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადებისა და დღგ-ს სახით შედის და მიიღებთ სრულ სურათს იმისა, რითიც ასე ამაყობენ ჩვენი თანამშრომლები.

GCBB

საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი - სიცოცხლის სადარაჯოზე

„საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“ თავისი დაარსებიდან 80 წელს ითვლის. 1932 წელს, აკადემიკოს გ. მუხაძის ხელძღვანელობით ჩამოყალიბდა სისხლის გადასხმის ცენტრალური სადგურის სახელწოდებით. 2010 წლის მარტში ქართველი ინვესტორის და ქველმოქმედის, ქალბატონ ნატო კვანტალიანის მიერ მოხდა სს „სისხლის პრეპარატების რესპუბლიკური ცენტრის“ შესყიდვა და მისი მოდერნიზება. სახელმწიფოს წინაშე აღებულ იქნა ვალდებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის პრეპარატების რესპუბლიკურ ცენტრში ინვესტიციის განხორციელებას და ახალი ბანკის შექმნას. ცენტრს გაუკეთდა მოდერნიზება და 2010 წლის აგვისტოდან სამსახური გადაკეთდა შპს „საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი“. ცენტრალური სისხლის ბანკი ამიერკავკასიაში ყველაზე დიდი საბაზისო ცენტრი იყო და ადგილმდებარეობითაც და პროდუქციის ხარისხით სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი შენარჩუნება დღესაც ხორციელდება. აქ დასაქმებული ადამიანებისთვის პრინციპული პრიორიტეტი ხარისხია. აცნობიერებენ რა, პაციენტის ისედაც მძიმე წუთებში, როცა მას სისხლი ესაჭიროება და სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილშია კიდე არ დაუმძიმდეს მდგომარეობა დაშვებული შეცდომით. აქ მომსახურება ყველა უმაღლესი და საერთაშორისო სტანდარტის დაცვით ხდება, რაც მკაცრად კონტროლდება. კომპანია ითვლის არაერთ სისხლის გაჩუქების საქველმოქმედო ღონისძიებას. სისხლის გაცემა არ არის კონკრეტული ავადმყოფებისთვის ან ლეიკემიით დაავადებულთათვის. კომპანიის დევიზია — სისხლი ყველას, ვისი სიცოცხლეც საფრთხეშია!

GCBB- ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული. აღსანიშნავია, რომ უმაღლესი ხარისხის მომსახურეობითა და პროდუქციით ნელ-ნელა მთელს ამიერკავკასიაში იმკვიდრებს ადგილს. უანგარო დონორებისთვის კომპანიამ შეიმუშავა დაზღვევის პრინციპი მაგალითად: დონორმა, თუკი ორჯერ ჩააბარა სისხლი, 6 თვის განმავლობაში მას და მის ოჯახის წევრებს კომპანია სისხლის უფასო მიწოდებით უზრუნველყოფს. გარდა ამისა უფასოდ უტარდებათ ისეთი ძვირად ღირებული ანალიზები, როგორიცაა C და B ჰეპატიტები, შიდსი, სიფილისი, სისხლის საერთო ანალიზი.

14 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲣᲐᲜᲒᲐᲠᲝ ᲓᲝᲜᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ, ᲓᲝᲜᲝᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ.

ᲘᲧᲐᲕᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲘᲔᲠᲘ, ᲒᲐᲘᲦᲔ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ - ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲘᲜᲔ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ!

მის: ქავთარაძის 21/ა
http://www.geocbb.com
T: 218_91_77; 254_53_19

შპს „სამშენებლო-სარესტავრაციო

დავითი“



შპს „სამშენებლო-სარესტავრაციო კომპანია დავითი“ 2012 წლის აპრილის თვეში ჩამოყალიბდა და დაარსების დღიდან შესაბამისი პროფილის სამუშაოებს აწარმოებს.

კომპანიის დამფუძნებელია პროფესიონალი ინჟინერ-მშენებელი **დავით ელიზბარაშვილი.** მან თავიდანვე მიზნად დაისახა მაღალკვალიფიციური, გამოცდილი თანამოაზრეებისა და ახალგაზრდა, ენერგიული სპეციალისტებისაგან ჩამოეყალიბებინა კომპანია, რომელიც მომავალში სახელმწიფოდან მიღებული და კონკურსებში მოპოვებული დაკვეთების დროულად და ხარისხიანად შესრულებას უზრუნველყოფდა.

კომპანიაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების პროპორციულად საშუალოდ 200 ადამიანს შეადგენს.

სამშენებლო კომპანიის უმთავრესი პრინციპია: პროექტების ავტორების მიერ დასახული ამოცანების ზუსტი რეალიზაცია.

ფირმის ნამუშევრებისათვის დამახასიათებელია „კულტურული მემკვიდრეობის“ ძეგლების თუ „ფონური“ განაშენიანების ობიექტებისთვის ავთენტურობის, ინდივიდუალობის, მაღალმხატვრულობისა და ზღვრული ფუნქციურობის შენარჩუნება, გამორჩეული ხარისხის საშენი მასალების გამოყენება და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვით ქართული ტრადიციული მეთოდოლოგიების გამდიდრება.

შპს „სამშენებლო-სარესტავრაციო კომპანია დავითი“ მონაწილეობას იღებს „ძველი თბილისის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების“ განხორციელებაში. ისტორიული ავლაბრის ტერიტორიაზე სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარა მეტეხის აღმართისა და ვიქტორ ჯორბენაძის ქუჩების ოცზე მეტ საცხოვრებელ სახლსა და ნაგებობას.

მათი შრომის შედეგია განახლებული „ფუნიკულიორის“ ქვედა, შუა და ზედა სადგურები.

კომპანია ამ ეტაპზე, სოლოლაკში, მაჩაბლის ქუჩის №17-ში მდებარე სახლის სამშენებლო-სარესტავრაციო სამუშაოებს აწარმოებს.

ო კომპანია





მისამართი:
გათუმი, ხიმშიაშვილის 1
(8790) 22 55 22
(8790) 22 44 22
(+995422) 27 99 77

ჯგუფი
გუმბათი
მშენებლობა განვითარება

GROUP
GUMBATI
DEVELOPMENT & CONSTRUCTION

$ 650 m²